დადგენილება:**დ-87. 87240942**
თარიღი:**03/04/2024**

დადგენილება N8

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N33 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 15/05/2018, სარეგისტრაციო კოდი: 330130000.35.162.016452).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია დადგენილება (2020 წლის 3 ივნისის N8 დადგენილება), რომლითაც დამტკიცებულია სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია 2018 წლის 7 მაისის N33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება, ვინაიდან ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი რეგულირდება საკრებულოს ახალი დადგენილებით.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება 2 მუხლისგან. პირველი მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად ცხადდება 2018 წლის 7 მაისის N33 დადგენილება, ხოლო მე-2 მუხლის მიხედვით დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას <u>ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.</u>

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას <u>**ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**</u>

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.**

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.